| კარგი პრაქტიკის დასახელება: | პროცესის ჩარჩოს განსაზღვრა და დაგეგმვა |
|---|---|

| | |
|---|---|
| **EFQM** კრიტერიუმი | შედეგები |
| **EFQM** კრიტერიუმის ნაწილი | *ბიზნეს შედეგები* |
| შექმნილია | მიდგომა გამოიყენება თანამედროვე მენეჯმენტში მსოფლიო მასშტაბით.<br>პროექტი შექმნილია, საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის მიერ „EFQM-ის გზით სრულყოფისკენ ორიენტირებული განვითრების“ პროექტის ფარგლებში. |
| კონტაქტი | საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA - ქ. თბილისი, 0114, რუსთავის გზატკეცილი 18-22; info@sba.edu.ge; ტელ.: (032) 240–33–40 |
| | |
| შედეგები | აღწერილი მიდგომის გამოყენებით შესაძლებელია საკუთარი დაწესებულების ბიზნესპროცესების იდენტიფიცირება და მისი გრაფიკული ვიზუალიზაცია. იძლევა ორგანიზაციის პროცესების არსისა და მნიშვნელობის ანალიზის შესაძლებლობას, ქმნის პროცესების ერთიან სისტემას.<br><br>მიდგომის სარგებლიანობა მდგომარეობს შემდეგში: განსაზღვრება დაწესებულების ბიზნესპროცესები (როგორც ძირითადი და დამხმარე, ისე მენეჯმენტის) და მომხმარებელი. რუკა იძლევა ვიზუალურ გამოსახულებას პროცესებისა და შედეგების მიმართებაზე; ასევე, შიდა პროცესების ეფექტური მართვის შესაძლებლობას, რაც მენეჯმენტის ხარისხისა და პროცესების მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესების, ჰარმონზაციის საფუძველს ქმნის.<br><br>მიდგომის შედეგები:<br>- იდენტიფიცირებულია ბიზნესპროცესები და პასუხისმგებლობები;<br>- პროცესების მენეჯმენტის სისტემის დანერგვისათვის საფუძვლის მომზადება, პროცესების რუკის შემუშავება;<br>- განსაზღვრულია ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან დაწესებულების პროცესების შესაბამისობის მაჩვენებელი;<br>- კლიენტზე და შედეგზე ორიენტირებულობის გაზრდის შესაძლებლობა;<br>- შიდა სტრუქტურული ცვლილებებისა და ინოვაციებისას, გადაწყვეტილების მიღებისას მეტი მოქნილობის შესაძლებლობა;<br>- პროცესების გონივრული კავშირი და გამჭვირვალობა.<br><br>მიდგომა იძლევა რეალურ შესაძლებლობას მართვის, ხარისხის ეფექტურობის გაუმჯობესებისა. |
| მიდგომა | აღწერილი მიდგომის გამოყენებით შესაძლებელია ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან დაწესებულების არსებული პროცესების შესაბამისობის განსაზღვრა და პროცესების რუკის/პროცესების მენეჯმენტის სისტემის შემუშვება; სხვადასხვა სირთულის ამოცანების გადაწყვეტის ვიუალიზაცია. |

SAMPLE

| | |
|---|---|
| | პროცესის განხორციელება განსაკუთრებულ მატერიალურ რესურსებს არ მოითხოვს, გარდა საერთაშორისო სტანდარტებთან წვდომისა. |
| განხორციელება | დაწესებულების პროცესებისა და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზის, ასევე შემუშავებული რუკის საფუძველზე, განისაზღვრა ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი დასანერგი პროცესები, ღონისძიებები.<br><br>პროექტის განხორციელებაში ჩართული იყვნენ: დაწესებულების ხარისხის სისტემაზე პასუხისმგებელი პირი/პირები.<br><br>აღნიშნული მიდგომის გამოიყენება შესაძლებელია ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, საკუთარი სტრუქტურისა და ბიზნესპროცესების გათვალისწინებით. |
| შეფასება და დახვეწა | შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა ხარისიხის სისტემის გასაუმჯობესებელი ან სრულყოფის კონკრეტული მექანიზმები და პროცედურები.<br>მიდგომის მაჩვენებლები შეფასდა:<br>- EFQM-ის თვითშეფასებისა და ვალიდაციის პროცესებისას;<br>- პროექტის განხორციელებისას (სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზისას).<br>მიდგომის დახვეწა სისტემატურად განხორციელდება მენეჯმენტის ყოველწლიური ანალიზის/თვითშეფასებისას და შიდა აუდიტის განხორციელებისას. |
| რისკები, მინიშნებები და რეკომენდაციები. | მიდგომის განხორციელებისთვის, რისკს წარმოადგენს სუბიქტური მიდგომები, კვალიფიცირებული პერსონალის არყოლა.<br><br>მიდგომის განხორციელებისას სასურველია ბიზნეს-პროცესების შეფასება და იდენტიფიცირება მოხდეს ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებით (ISO 9001:2008, ISO 29 990:2010) დადგენილ პროცედურებთან/მოთხოვნებთან, რაც იძლევა შესაძლებლობას განხილული იქნას ბიზნეს პროცესების ნაკლოვანება-ეფექტურობის ხარისხი, შემუშავდეს და დაინერგოს სტანდარტული პროცედურები და პროცესები. რაც იძლევა შესაძლებლობას, საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით, შემუშავდეს ბიზნესპროცესებთან მიმართებაში, ხარისხის შიდა სტანდარტები. |
| დაკავშირებული დოკუმენტები | ფაილები:<br>- SBA პროცესების საერთაშორისო სტანდარტების (ISO29990:2010; ISO 9001:2008) მოთხოვნებთან შესაბამისობის სქემა;<br>- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის პროცესების ჩარჩო. |

SAMPLE